სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ჯანდაცვის სისტემაში

თამარ დევიძე
სტუ-ს ასისტ. პროფესორი
E-mail: tamari.devidze@mail.ru

რეზიუმე

ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების კომპლექსური დამკვიდრებისათვის, რომლის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო იდეათა უზრუნველყოფა ჩასახვიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე. ინოვაციური სფეროს ფაქტიური მდგომარეობის სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა შეიძლება მოხდეს სახელმწიფო მართვის ორგანოებით, ხოლო განხორციელება – ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებით. იმისათვის, რომ ჯანმრთელობის კვლევები საზოგადოების ჯანმრთელობისთვის მაქსიმალური შედეგის მომტანი იყოს, აუცილებელია მოხდეს პრინციპის აღმოჩენა-განვითარება-დანერგვა გათვალისწინება მომავალი სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვისას, რათა მოხდეს მეცნიერების მიერ შექმნილი ცოდნის ეფექტიანი მიტანა მოსახლეობამდე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური საქმიანობა, ინოვაციური პოლიტიკა.

ინოვაციები ეხება რა ცხოვრების ყველა მხარეს პირდაპირ თუ ირიბად რთულ ეკონომიკურ ურთიერთობათა კვანძს ქმნის. ამ სფეროსთვის სწორად შემუშავებული მეცნიერული მიდგომები და რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ ცხოვრებაში დიდი ძვრების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა უნდა გახდეს.

მედიცინაში ყოველგვარ აღმოჩენასა თუ გამოგონებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თითოეული მათგანი ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესებას ემსახურება.

ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პროგრამების კომპლექსური დამკვიდრებისათვის, რომლის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო იდეათა უზრუნველყოფა ჩასახვიდან პრაქტიკულ გამოყენებამდე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) პუბლიკაციის „Systems Thinking for Health Systems Strengthening" (2009) მიხედვით, 21-ე საუკუნეში ჯანმრთელობის სისტემისა და ზოგადად ადამიანის ჯანმრთელობის გარდამქმნელად მიჩნეულია 4 რევოლუციური მოვლენა:

1. ბიო-სამედიცინო მეცნიერების განვითარება;
2. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება;
3. სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა;
4. სირთულეების დაძლევისთვის სისტემური მიდგომა.

მსგავსად მეცნიერების სხვა ნებისმიერი დარგისა, ჯანდაცვაში არსებობს ინოვაციების ციკლი, რომელიც ე.წ. 3 პრინციპზე არის დამყარებული:

აღმოჩენა (Discovery); განვითარება (Development); დანერგვა ანუ მიწოდება (Delivery).

იმისათვის, რომ ჯანმრთელობის კვლევები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის მაქსიმალური შედეგის მომტანი იყოს, აუცილებელია მოხდეს ამ სამივე პრინციპის გათვალისწინება მომავალი სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვისას, რათა მოხდეს მეცნიერების მიერ შექმნილი ცოდნის ეფექტიანი მიტანა მოსახლეობამდე.

მსოფლიოში ბიო-სამედიცინო მეცნიერებათა განვითარების წარმმართველ ინსტიტუციებს შორის აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტების (National Institutes of Health – NIH) სისტემა შესაძლოა მიჩნეულ იქნას სამედიცინო მეცნიერების მექად, სადაც ხდება უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები და იდგმება ყველაზე დიდი ინოვაციური ნაბიჯი. მსგავს მოდელზეა დამყარებული გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ ინსტიტუტთა სისტემაც, თუმცა მისი წვლილი გლობალურ სამეცნიერო ასპარეზზე NIH-თან შედარებით მოკრძალებულია. დიდი სამეცნიერო ქსელებიდან ასევე აღსანიშნავია საფრანგეთის და იტალიის მსგავსი სამეცნიერო ინსტიტუტების გაერთიანება, რომელთაც ასევე შეაქვთ წვლილი თანამედროვე ბიო-სამედიცინო მეც-

ნიერების განვითარებაში. გერმანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე წამყვანი ინსტიტუტი: მაქს პლანკის გაერთიანება, ფრაუნჰოფერის გაერთიანება, ჰელმჰოლცის გაერთიანება და ა.შ.

დღეისათვის ნაციონალური ინსტიტუტების ახალი ხედვა მოიცავს მედიცინის გარდაქმნას მკურნალობიდან პრევენციულ პრინციპებზე, აღმოჩენების საშუალებით მედიცინისა და ჯანმრთელობის ტრანსფორმაციას და ახალი ცოდნის გენერაციას. ახალი ინოვაციები დამყარებულია ბიოინფორმატიკაზე, ბიოტექნოლოგიებზე, პროტეონომიკასა და გენომიკაზე, გენეტიკურ ინჟინერიასა და კლონირებაზე. აღსანიშნავია ე.წ. NBIC (Nanotechnology, Bio-technology, Information technology and Cognitive science) ტექნოლოგიები, რომელიც წარმოადგენს ნანო, ბიო, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ქცევითი მეცნიერებების ერთობლიობას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ამ მიმართულებით წარმართა ინტენსიური მუშაობა და მისი რეკომენდაციები განკუთვნილია საქართველოს ტიპის ქვეყნებისათვის.

ერთ-ერთი დიდი დილემა, რომელიც ჯანდაცვის მეცნიერებაში და ზოგადად ჯანმრთელობის საკითხებშია წამოჭრილი და რომლის გადაჭრასაც ვერ ახერხებს დღევანდელი მსოფლიო, არის ის, რომ ჯანმრთელობა ძვირი ფუფუნებაა. ხშირად პოლიტიკის შემქმნელთა ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ ჯანმრთელობის დაფინანსების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება და წინ უსწრებს ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას. ევროპული ქვეყნების ბოლო 40 წლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკონომიკა ვერ ეწევა ჯანმრთელობის დანახარჯების ზრდას და ჯერჯერობით ვერ გადაწყდა, როგორ გახდეს ჯანდაცვა უფრო ხარჯეფექტიანი.

მნიშვნელოვანია მეცნიერული კვლევების დიდი როლი საზოგადოების განვითარებაში. ის, თუ რამდენად განვითარებულია ქვეყანა და რამდენად არის მეცნიერება პრიორიტეტული, ორი პარამეტრით განისაზღვრება: ერთი – რამდენს ხარჯავს ქვეყანა კვლევებსა და განვითარებაზე თავისი მშპ-დან და მეორე – რამდენს ხარჯავს ქვეყანა ჯანდაცვის კვლევებზე ჯანდაცვის ხარჯებიდან. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მშპ-ის 8-10%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2%-ზე დაბალია. გერმანია და ნორვეგია ბიუჯეტიდან ჯანდაცვაში ხარჯავს 8-9-10%-ს, საქართველო კი 2-3 %-ზე ნაკლებს.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების განსაზღვრა ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტთა ქმედებების მონაცემების მიღების მსვლელობის პერიოდში, შემდეგ ხდება მიღებული მონაცემების შეპირისპირება სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებთან, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს ფაქტიურ და სასურველ შედეგებს შორის გადახრების გამოვლენამდე. გადახრების ანუ ახალი პრობლემური სიტუაციების არსებობა განაპირობებს ახალი ვარიანტების შემუშავებასა და ინოვაციურ სფეროში მოქმედების პირობების შეცვლას.

ბევრი გამოწვევა და პრობლემა, რომელიც დღეს ჯანდაცვის დარგის წინაშე დგას, ეფექტიან უწყებათაშორის თანამშრომლობას და სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორების კოორდინირებულ საქმიანობას მოითხოვს. საქართველოს ყველა მოქალაქისათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფოს პრიორიტეტებს წარმოადგენს: ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, არაგადამდები დაავადებების პრევენცია და სკრინინგი, ტუბერკულოზის, შიდსის, განსაკუთრებით საშიში ინფექციების პრევენცია და მკურნალობა, ვაქცინაცია (იმუნიზაცია), ფსიქიკური აშლილობა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, კატასტროფებისა და გადაუდებელი სიტუაციებისთვის მზაობა. პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს იმ მთავარ ღირებულებებზე მიმართულ სისტემას, რომელიც ეფუძნება პაციენტის ინფორმირებულობას, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, უსაფრთხოებასა და მომსახურების არარაციონალური მოხმარებისგან დაცვას.

ასაკობრივი ჯგუფების ჯანმრთელობის განსხვავებული პრობლემები კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებს ჯანდაცვის სფეროს წინაშე. კერძოდ, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის მოითხოვს სპეციფიკურ ინტერვენციებს. ამასთან, ინფექციის არსებული და ახლადაღმოცენებული რისკები მოითხოვს ქვეყანაში ეპიდზედამხედველობის სისტემის გაძლიერებას და დროულ, კოორდინირებულ და ეფექტიან რეაგირებას ბიოლოგიური საფრთხეების აღმოცენებისას.

სამედიცინო ინფრასტრუქტურა საქართველოში, რომელიც დამოუკიდებლობის შემდეგ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ეტაპობრივ განახლება-განვითარებას განიცდის.

ხარისხიანი ინფრასტრუქტურა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული

ხელმისაწვდომობის გაზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. შესაბამისად, დაწესებულებების აშენება-განახლებას, აღჭურვას და ადექვატურ სივრცობრივ და ფუნქციურ დაგეგმვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის ახალ სტრატეგიაში.

ჯანდაცვის სექტორში სამთავრობო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით ამ ამოცანის განხორციელებაში წამყვან როლს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი შეასრულებს. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივი ზედამხედველობა მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირებისთვის და საჭირო ინტერვენციების შესარჩევად. ამ ფუნქციის განსახორციელებლად სშჯსდს ესწრაფვის მიიღოს, ერთი მხრივ, სარწმუნო ინფორმაცია და, მეორე მხრივ, განავითაროს საჭირო სიმძლავრეები ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის.

ჯანმრთელობის ხელშეწყობა აერთიანებს საგანმანათლებლო, პრევენციულ და ჯანსაღი გარემოს შექმნისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის აუცილებელია, რომ თითოეულმა მოქალაქემ სრულად გააცნობიეროს მავნე ჩვევებისა და არასწორი ქცევის უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელობა, ხოლო მთავრობამ ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რაც ადამიანს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საშუალებას მისცემს. სამინისტროს მიერ ამჟამად ხორციელდება და მომავალშიც გაგრძელდება მთელი რიგი მიზნობრივი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის ხელშეწყობისაკენ, კერძოდ, „ჯანსაღი სკოლის" კონცეფციის დამკვიდრება, ნარკომანიის პრევენციისა და თამბაქოს მოხმარების შემცირების ღონისძიებები და სხვა. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება როგორც არასამთავრობო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროკავშირი და სხვ.) და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით (რეპროდუქტიული ჯანმრთელობის ეროვნული საბჭო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამოქალაქო რეესტრი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ა.შ.), რაც ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის წარმატებით განხორციელების საფუძველია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფას და აღსრულებისთვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება-დანერგვას.

საქართველო იმყოფება საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა წარმოაჩინა მრავალი პრობლემა და მოსაგვარებელი საკითხი, მათ შორის საინოვაციო საქმიანობის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც თანამედროვე პირობებში მეტად რთული, მასშტაბური და მრავალმხრივია, თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოს ის ქვეყნებია მოწინავე და კონკურენტუნარიანი, რომლებიც ახდენენ ახალი იდეების გენერირებას, ქმნიან მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას და ავითარებენ ცოდნაზე დაფუძნებულ, ანუ ინოვაციურ ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა, ა., გვაჯაია, ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ., 2009.
2. ბართაშვილი ე. სერვისმენეჯმენტი. თბ., 2013.
3. გვაჯაია ლ. ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირების ფორმები. თბ., 2011.
4. ღავთაძე გ. ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარი ფაქტორი. თბ., 2014.
5. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბ.,2006.
6. ჭალაგანიძე შ. საინოვაციო საქმიანობის პრობლემები საქართველოში. თბ., 2010.
7. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია.
8. ქვეყნის ძირითადი მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის.
9. http://www.who.int/en/
10. http://www.moh.gov.ge/
11. http://www.economy.ge/

INNOVATION POLICY OF THE STATE ROLE IN HEALTHCARE SYSTEM

TAMAR DEVIDZE
assistant professor of GTU
E-mail: tamari.devidze@mail.ru

Summary

The innovation potential of the country is very important for the complex inculcation of the innovation policy of the state and scientific-technical and innovation programs. The aim of which is to provide scientific ideas from their origin till their practical usage.

The actual state of innovation field can correspond with the state's innovation policy by means of the state administrative organizations, and implementation by means of innovation operating personnel. In order to make health research maximum effective for the health of the society, its vital to discover, develop, introduce and consider a principle for planning future scientific work in order to deliver the knowledge created by scientists to the population effectively.